ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 390

"30" ოქტომბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**შპს „მცენარეთა დაცვის საწარმოს“ შპს „თბილისის პარკებთან“ შერწყმასთან (მიერთებსთან) დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9[1] და 14[4] მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის №41.06.1182 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 7 აგვისტოს №10-38/7724 (რეგისტრ. №01/1564-8) მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს და თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „მცენარეთა დაცვის საწარმოს“ (ს/ნ №211335349) შპს "თბილისის პარკებთან" (ს/კ №202365573) შერწყმაზე (მიერთებაზე). შერწყმის შედეგად შექმნილი შპს "თბილისის პარკები" (ს/კ№202365573) ჩაითვალოს შპს „მცენარეთა დაცვის საწარმოსა“ (ს/ნ №211335349) და შპს "თბილისის პარკების" (ს/კ№202365573) - სამართალმემკვიდრედ (უფლებამონაცვლედ).

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი